ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6611096

ნომერი: AR1982585

თარიღი : 08.08.2023

გაცემის თარიღი : 14.08.2023

გაცნობის თარიღი : 18.08.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბარათაშვილის ხიდის ქვეშ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი როსტიაშვილი პ/ნ 01019018159
- ზედაზნის 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი :

- წარმოდგენილ იქნას მაღალი ხარისხის ფოტომონტაჟები ერთიანი მაღალი ხედებით სხვადასხვა რაკურსით რეალურ განაშენიანებაში;
- ფოტომონტაჟს მიეთითითოს ფერის კოდები, ნიშნულები, მასალები და ზომები;
- წარმოდგენილი იქნას დეტალური განმარტება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. შესაბამისად იქნას არსჩეული ნომენკლატურა. (სარეკლამო აბრები, საჩრდილობელი, ფასადის მოპირკეთება და ა.შ);

- წარმოდგენილი იქნას სქემატური არსებული და საპროექტო გეგმა, ჭრილი, სარეკონსტრუქციო კედლების, საპროექოტ ელემენტების, საკადასტრო საზღვრისა და ტროტუარის ჩვენებით.

- წარმოდგენილი იქნას სქემატური გენგეგმა საკადასტრო საზღვრებისა და საპროექტო ელემტნების ჩვენებით. (თუ საზ. სივრცეში ხდება რაიმე ელემენტის განთავსება წარმოდგენილი უნდა იქნას ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა. საზ. სივრცეში შეჭრასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნას 14-39 დადგენილების, 33-ე მუხლის მოთხოვნები);

- საფასადე სიბრტყეზე სარეკლამო წარწერის განთავსებისას დაცული იქნას რეკლამის და სახელმწიფო ენის შესახებ კანონები;

· განგიმარტავთ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის, მე-4 მუხლის, 2', 3 და 4 პუნქტების მიხედვით: 2'. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას. 3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. 4. ასევე ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი. ამასთან სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის, 25- ე მუხლის , მე-3 პუნქტის მიხედვით: ,,ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით)'';

2. იმ შემთხვევაში თუ ხიდის ნაწილსაც ეხება სამუშაოები საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაბამისი მესაკუთრეების თანხმობები;
3. დოკუემნტაციიდან ამოღებულ იქნას დეკორატიული საყვავილეების მოწყობა, ვინაიდან აღნიშნული არ წარმოადგენსსამსახურის სანებართვო საგანს;
4. ატვირთული მინდბილობა გაცემულია ანა კობახიძის, როგორც ფიზიკური პირის და არა როგორც შპს ნაით ოფისის დირექტორის მიერ. საჭიროა შპს ნაით ოფისის მიერ გაცემული მინდობილობის წარმოდგენა. ასევე, თუ რეკლამის მოწყობა ხორციელდება სსიპ - ქონების მართვის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, საჭირო იქნება როგორც მესაკურის, ასევე შპს "ალმას" თანხმობის წარმოდგენა;

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.